სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№01-04/18 2.03- 2020 წ

უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 28 თებერვლის № 01-04 / 15 ბრძანებით

შექმნილი სარეგისტრაციო კომისიის მუშაობის წესი

1. „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კონკურსის წესით შერჩევის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №111 (17/18) დადგენილებით დამტკიცებული წესის მეექვსე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით საკონკურსო საბუთების მიღებას, დამუშავებას და საკონკურსო კომისიისათვის წარდგენას უზრუნველყოფს სარეგისტრაციო კომისია.
2. საკონკურსო საბუთების მიღების რეგისტრაციის მიზნით, შეიქმნას სარეგისტრაციო ჟურნალი, რომელშიც უნდა აღინიშნოს: ნუმერაცია, კონკურსანტის სახელი და გვარი, ფაკულტეტის მიმართულება/ქვემიმართულება, საკონკურსო თანამდებობა, წარმოდგენილი დოკუმენტების რაოდენობა, ფურცლების რაოდენობა, საბუთების მიღების თარიღი, შენიშვნა, კონკურსანტის ხელისმოწერა, დოკუმენტების მიმღების ხელისმოწერა, საბუთების გატანაზე ხელისმოწერა.
3. სარეგისტრაციო ჟურნალი უნდა იყოს ზონარგაყრილი და დალუქული, დამოწმებული უნივერსიტეტის ბეჭდითა და უნივერსიტეტის რექტორის ხელმოწერით.
4. სარეგისტრაციო კომისია ვალდებულია მიღებული დოკუმენტაცია დაახარისხოს მიმართულებებისა და ქვემიმართულებების მიხედვით.
5. დოკუმეტაციის დამუშავება უნდა დასრულდეს საბუთების მიღების ვადის ამოწურვისთანავე და გადაეცეს საკონკურსო კომისიას.
6. სარეგისტრაციო კომისია საკონკუროს კომისიას დოკუმენტებს გადასცემს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით.

კონტროლი სარეგისტრაციო კომისიის მუშაობაზე დაეკისროს რექტორის მოადგილე - შალვა კირთაძეს.

რექტორი **პროფესორი როლანდ კოპალიანი**